ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ევროპული უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

## 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში კვლევითი სტაჟირების სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა.

## 2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

## 3. კანდიდატების (აკადემიური პერსონალის) შერჩევა

კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

| | | მინიმალური ქულა Minimum score | მაქსიმალური Maximum score |
|---|---|---|---|
| *პროფესიული სტატუსი (0-5 ქულა) Professional merit (0-5)* | რექტორი/რექტორის მოადგილე/დეკანი<br>Rector/Vice Rector/Dean | 0 | 5 |
| | დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი/ცენტრალური ადმინისტრაციული ერთეულის (დეპარტამენტი, სამსახური, ცენტრი) ხელმძღვანელი<br>Director of an independent research institute/ Head of a central administrative unit (department, office, center) | 0 | 4 |
| | ფაკულტეტის დეკანის მოადგილე/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე<br>Deputy Dean/Deputy Director of an independent research institute | 0 | 3 |
| | საფაკულტეტო ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი/აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი<br>Head of an administrative unit within Faculty/Head of an academic program | 0 | 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ERASMUS+ ICM პროგრამების კოორდინირებასთან კავშირში მყოფი ადმინისტრაციულ ან დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებული პირი<br>Administrative position directly linked to managing ERASMUS+ ICM Programs | 0 | 1 |
| *აკადემიური რანგი (0-5 ქულა)*<br>*Academic rank (0-5)* | პროფესორი<br>Professor | 0 | 5 |
| | ასოცირებული პროფესორი<br>Associate Professor | 0 | 4 |
| | ასისტენტ პროფესორი<br>Assistant Professor | 0 | 2 |
| | ასისტენტი<br>Assistant | 0 | 1 |
| | სხვა (საათობრივად მოწვეული ლექტორი, ლაბორატორიის პერსონალი, მასწავლებელი და ა.შ.)<br>Others (invited lecturer, assistant, laboratory staff etc.) | 0 | 0 |
| *პრეზენტაბელურობა შესარჩევი ინტერვიუს პროცესში (0-45 ქულა)*<br>*Performance at the selection interview (0-45)* | *აკადემიური მობილობის დროს: შემოთავაზებული სამუშაო გეგმის გავლენა მშობლიური ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის/აკადემიური პროგრამის აკადემიური შესაძლებლობების გაძლიერებაზე ან ადმინისტრაციული მობილობის დროს: შემოთავაზებული სამუშაო გეგმის გავლენა იმ სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე და საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებაზე, სადაც აპლიკანტი დასაქმებულია კონკურსში მონაწილეობის მომენტში*<br>In case of STA mobility: The impact of the suggested work plan on strengthening the academic capacity of the Home Faculty/Institute<br>or<br>In case of STT mobility: the impact of the suggested work plan on strengthening the institutional cooperation between the Home and Host institutions | 0 | 10 |
| | *მობილობის შესაძლო გავლენა თსუ-სა და მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის არსებული ინსტიტუციური კავშირების გაძლიერებაზე*<br>*Possible impact of the mobility on deepening existing institutional ties between Home and Host HEIs* | 0 | 10 |
| | მობილობის განხორციელების მოტივაცია<br>Motivation for mobility | 0 | 10 |
| | *მობილობისთვის რელევანტურ უცხოურ ენაში კომპეტენციის დონე*<br>*Language skills* | 0 | 10 |
| | *თსუ-ს მონაწილეობით განხორციელებული გაცვლითი და მობილობის პროგრამების (ადმინისტრირებაზე გავლენა*<br>*Impact on administering the TSU in-/outbound mobility program* | 0 | 5 |

| | | | |
|---|---|---|---|
| *ახალი აპლიკანტი (გამოცდილების არ მქონე) (0-4 ქულა)*<br>*New comer to the program (0-4)* | K107/K171 პროგრამაში გამოცდილების არ მქონე - 4 ქულა<br>1-დან 2 მობილობა ბოლო 6 სემესტრის განმავლობაში - 3 ქულა<br>3-დან 4 მობილობა ბოლო 6 სემესტრის განმავლობაში - 2 ქულა<br>5 დან 6 მობილობა ბოლო 6 სემესტრის განმავლობაში - 1 ქულა<br>6 მობილობაზე მეტი ბოლო 6 სემესტრის განმავლობაში - 0 ქულა<br>No previous experience with K107/K171 mobility – 4 scores<br>1 to 2 mobilities in the last 6 semesters – 3 scores<br>3 to 4 mobilities in the last 6 semesters - 2 scores<br>5 to 6 mobilities in the last 6 semesters – 1 score<br>More than 6 mobilities in the last 6 semesters – 0 score | 0 | 4 |
| *შეზღუდული შესაძლებლობები (0-<br>1 ქულა)*<br>*Inclusion (0-1)* | შშმპ სტატუსი<br>Status of the Persons with disabilities | 0 | 1 |

**4. სტიპენდიატების გამოვლენა**

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.